1998 წლის 14 ივნისი, რუსეთის ფედერაცია, ქ. სანკტ-პეტერბურგი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს <u>დადგენილება</u> **"აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საკითხის მომამზადებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის კომისიის მუშაობის შესახებ**

მოისმინა რა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის კომისიის თავმჯდომარის, რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ო. ა. ბოგომოლოვის ინფორმაცია (თან ერთვის), საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე" საკითხის მომამზადებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის კომისიის მიერ გაწეული მუშაობა.

2. საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ამ კომისიამ გააგრძელოს მუშაობა "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე" საკითხის მოსამზადებლად.

ასამბლეის თავმჯდომარე **ე. სტროევი.**

თან ერთვის საპარლამენტთაშორისო
ასამბლეის 14.06.1998-ის დადგენილებას

<u>ინფორმაცია</u> **"აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე" საკითხის მომამზადებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის კომისიის მუშაობის შესახებ**

საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს 1997 წლის გადაწყვეტილებით შეიქმნა "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე" საკითხის მომამზადებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის კომისია, რომლის თავმჯდომარეობა დაევალა რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ო. ა. ბოგომოლოვს. კომისიის შემადგენლობაში შედიან საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს მიერ 1997 წლის 1 მარტს დამტკიცებული დსთ-ს წევრი სახელმწიფოების პარლამენტების წარმომადგენლები.

კომისიის შექმნის შემდეგ განვლილ დროში მისი მონაწილეობით საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭომ მიიღო რიგი დადგენილებები ამ პრობლემის შესახებ. კომისიას აგრეთვე ჰქონდა შესაძლებლობა, ადგილზე შეესწავლა საქმეების მდგომარეობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესთან კავშირში. საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობასთან და აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით 1998 წლის 14-16 მარტს შედგა მოგზაურობა საქართველოში აფხაზეთის მონახულებით.

კომისიის წევრები იმყოფებოდნენ თბილისში, სოხუმსა და გალის რაიონში.

შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს ე. შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას, გალის რაიონიდან ლტოლვილებს, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, სოხუმში საუბრები გაიმართა ვ. არძინბასთან, აფხაზ პარლამენტარებთან, დსთ-ს მშვიდობისყოფის კოლექტიური ძალების სარდლობასა საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობასთან. კომისიის წევრები ეწვივნენ გალის რაიონს, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ შორის იქ დაბრუნებულ ლტოლვილებსაც.

ყურადღებას იქცევს ის, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა, პარლამენტარებმა, პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა, ლტოლვილთა წარმომადგენლებმა დადებითად აღიქვეს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს გადაწყვეტილება კომისიის თბილისსა და სოხუმში გაგზავნის შესახებ.

ყველა საუბარში ღერძი იყო აზრი, რომ ხანგრძლივი კონფლიქტები დსთ-ს სივრცეში, მათ შორის ქართულ-აფხაზურიც, სერიოზულად ართულებს თანამეგობრობის ქვეყნების წინსვლით განვითარებას, აფერხებს ამ ქვეყნების ინტეგრაციულ პროცესებს.

კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ არსებობს ხელსაყრელი შესაძლებლობები (კონფლიქტის ზონაში მშვიდობისყოფის ძალებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების ყოფნა, რუსეთის საშუამავლო ძალისხმევა, გაეროსა და ეუთოს ხელშეწყობა), რათა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესი გადაყვანილ იქნეს კონკრეტული შეთანხმებების სიბრტყეში ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა და ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება. თუმცა, რეალური წინსვლა სადავო საკითხების მტკიცე და საიმედო გადაწყვეტისკენ ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მხარეები ჯერჯერობით შორს არიან ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღწევისაგან, რაც დაადასტურა, აგრეთვე, ახლახან, 1998 წლის 20-25 მაისის შეიარაღებულმა მოვლენებმა აფხაზეთის გალის რაიონში.

ამის კონტექსტში კომისიის წევრები მხარეთა ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ აუცილებელია რეალიების გათვალისწინება, ურთიერთშეხების წერტილების, შემხვედრი კომპრომისული ნაბიჯების ძებნა, პოლიტიკური ნების გამოვლენა სადავო საკითხების უსწრაფესად გადაჭრისათვის.

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ახლანდელ ეტაპზე კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა შუამავალთა ხელშეწყობით საჭიროა ყურადღება მიაპყრონ შემდეგ მიმართულებებს:

- შეიარაღებულ მოქმედებათა შეწყვეტის რეჟიმის განმტკიცება;
- ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტა;
- მოლაპარაკების პროცესის დაჩქარება ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების დოკუმენტის დადების მიზნით;
- მდგომარეობის სრული ნორმალიზაცია აფხაზეთის გალისა და სხვა რაიონებში, უწინარეს ყოვლისა, მაისის მოვლენათა შედეგების აღმოფხვრა.

2. უკანასკნელ ხანებში მოლაპარაკების პროცესის ფარგლებში გადაიდგა ახალი ნაბიჯები შუამავალთა მონაწილეობით. ადრინდელ პირობებზე დამატებით გაეროს წარმომადგენლების, რუსეთის, ეუთოსა და საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ხელშეწყობით მოხერხდა 1997 წლის ნოემბერში ჟენევაში შეემუშავებინათ მოქმედების პროგრამა და მისი რეალიზაციის მექანიზმები, საკოორდინაციო საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანოები.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა ისწრაფოდნენ კონკრეტული შინაარსი შესძინონ ჟენევის შეხვედრებს, მკაცრად დაიცვან მიღწეული შეთახმებები და შეასრულონ მიღებული გადაწყვეტილებები.

როგორც 1998 წლის 30 იანვრის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაშია აღნიშნული, „სამშვიდობო პროცესის გააქტიურებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა თავად მხარეებს ეკისრებათ“. საერთაშორისო საზოგადოების უნარი, აღმოუჩინოს მათ დახმარება, ხაზგასმულია შემდეგ დოკუმენტში, დამოკიდებულია მათსავე პოლიტიკურ ნებაზე, დიალოგისა და ურთიერთდათმობის საფუძველზე მოაგვარონ კონფლიქტი, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგებისაკენ გადადგმულ მათ რელურ ნაბიჯებზე უსწრაფესი შეთანხმებებისა და შესაბამისი დოკუმენტების ხელმოწერის მეშვეობით.

3. აუცილებელია დაიწყოს ფართომასშტაბიანი ძალისხმევა აფხაზეთის გალის რაიონში ვითარების ნორმალიზაციისათვის ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებულ ფორმირებათა დაშორიშორებისა და ძალისმიერი მოქმედებების დაუშვებლობის შესახებ მხარეების მიერ 1998 წლის 25 მაისს ქ. გაგრაში ხელმოწერილი ოქმის განუხრელი შესრულების გზით.

ამასთან დაკავშირებით სასურველად მიჩნეულ იქნებოდა სასწრაფოდ გამართულიყო ე. შევარდნაძის შეხვედრა ვ. არძინბასთან, გათვალისწინებით მათ მიერვე გამოთქმული მზადყოფნისა, ერთად ეძებონ პრობლემის მოწესრიგების გზები, მათ შორის გალის მოვლენის დროს წარმოქმნილისაც, აგრეთვე ქართულ-აფხაზური მოწესრიგების ძირითადი ასპექტების გადასაჭრელად მოლაპარაკების პროცესის განახლების მიზნით.

4. რამდენადაც მხარეები ჯერ არ არიან მზად, იპოვონ ყველაზე რთული, სტატუსური საკითხების ურთიერთმისაღები კვანძის გახსნა, მათ შეუძლიათ მთელი ყურადღება მიაპყრონ იმ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, რომლებზეც შესაძლებელია შეთანხმების უფრო მაღალი დონის მიღწევა.

ესენია _ ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებები, უარის თქმა ერთმანეთის მიმართ მტრულ პროპაგანდაზე, ერთმანეთთან ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში, მათY შორის მილსადენთან დაკავშირებით, თანამშრომლობის განახლება, აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ანუ განხორციელება ყველა იმ პროექტისა, რომლებიც ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა უკვე შეათანხმეს.

5. პირველი რიგის ამოცანაა ლტოლვილების უსწრაფესი დაბრუნება გალის რაიონში და უპირველეს ყოვლისა, იმათი, რომლებმაც თავიანთი სახლები ამ რაიონში მაისში მომხდარი მოვლენების შედეგად დატოვეს. შემუშავებული უნდა იქნეს საიმედო მექანიზმი, რომელიც გაგრის ოქმის ამ დებულების განხორციელებას უზრუნველყოფს.

მეორე მიმართულებაა აფხაზეთში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების მთელი პროცესის ორგანიზება. აუცილებელია, შემუშავებულ იქნეს მხარეთაA შეთანხმებული მიდგომა, ვინ და როგორ წესით უნდა დაბრუნდეს, განისაზღვროს იმ ლტოლვილთა ზუსტი რაოდენობა, ვინც მზადაა დასაბრუნებლად. გარდა ამისა, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს შესაფერისი გარემო, უპირველეს ყოვლისა, მათი დაბრუნების უსაფრთხოება. ამ პროცესს ხელს შეუწყობდა აფხაზეთში მშვიდობის მხარდამჭერი დსთ-ს კოლექტიური ძალებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებლების აქტიური, კოოორდინირებული მოქმედება, _ ცხადია, თავ-თავიანთი მანდატის ფარგლებში.

6. ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნისა და ომით დანგრეული აფხაზეთის ეკონომიკური პოტენციალის აღდგენის მიზნით მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნებოდა, თუ მხარეები მიმართავდნენ დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას თხოვნით, ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების საკითხის გადაწყვეტის კვალობაზე, განეხილათ აფხაზეთისათვის თავის დროზე დაწესებული ეკონომიკური, სასაზღვრო და საბაჟო შეზღუდვების გაუქმების საკითხი.

7. კომისიის წევრები ვარაუდობენ, რომ ქართულ მხარეს შეეძლო, უფრო აქტიურად წამოეწია საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი სქემის იდეა, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსს ქვეყნის ერთიანი კონსტიტუციური ველის ჩარჩოებში, რაზეც ილაპარაკა საქართველოს პრეზიდენტმა 1998 წლის 30 აპრილს. კომისიის წევრების აზრით, სასარგებლო იქნებოდა, აფხაზური მხარისათვის შეგვეთავაზებინა მონაწილეობა ამ სქემის დამუშავებაში.

8. ჩანს, რომ მოლაპარაკების პროცესის წინსვლას ხელს შეუწყობდა მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის განვითარება სხვადასხვა, პირველ რიგში, უმაღლეს დონეზე.

რაც შეეხება ქართველ და აფხაზ პარლამენტარებს შორის რეგულარული კონტაქტების დამყარებას, ამ საქმეში თავისი როლი შეიძლებოდა ეთამაშა საპარლამენტთაშორისო ასამბლეას. სასარგებლო იქნებოდა აგრეთვე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, უხუცესების, შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის რეგულარული შეხვედრები.

9. გამოხატავენ რა სერიოზულ შეშფოთებას კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების მდგომარეობისა და საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოწყობის გამო, კომისიის წევრები გმობენ მსგავს ქმედებებს, რომელი მხარის განხორციელებულიც უნდა იყოს.

10. მიუხედავად მხარეთა ოფიციალური წარმომადგენლების არაერთგზისი საჯარო განცხადებისა, რომ შეიძლება დადგეს დსთ-ს მშვიდობისყოფის კოლექტიური ძალების ოპერაციის შეწყვეტის საკითხი, ამასწინანდელმა შეიარაღებულმა მოვლენებმა აფხაზეთის გალის რაიონში აჩვენა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაადრევია. ეს გამომდინარეობს უკვე ნახსენები ჟენევის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტებიდანაც, რომლის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს კონფლიქტის მონაწილე მხარეებსა და რუსეთის ფედერაციას, გაეგრძელებინათ დსთ-ს მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების მიერ სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხელსაყრელი მშვიდობიანი პირობები სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მისაღწევად.

ამასთან დაკავშირებით მივიჩნებდით, რომ აუცილებელია გააქტიურდეს რუსეთის ფედერაციის, გაეროს, ეუთოს საშუამავლო მისია იმ მიზნით, რომ დაეხმარონ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მისი მოწესრიგების ეფექტიანი ურთიერთმისაღები გზების ძიებაში. კომისიის წევრები მიესალმებოდნენ

დსთ-ს სხვა მონაწილე-სახელმწიფოების ძალისხმევას აფხაზეთში, საქართველო, მშვიდობის შენარჩუნების მიმართულებით. აგრეთვე, სასარგებლო იქნებოდა დსთ-ს მშვიდობისყოფის ძალებისა და გაეროს საერთაშორისო დამკვირვებელთა თანამშრომლობა თავ-თავიანთი ამოცანების შესრულებაში, მათ შორის, შეიარაღებულ შეტაკებათა თავიდან აცილება გალისა და მათი პასუხისმგებლობის ზონაში მდებარე სხვა რაიონებში.

11. დსთ-ს სტრუქტურებმა, რომელთაც დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ დაავალა აფხაზური პრობლემის შესახებ უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაცია, უნდა შეიმუშაონ მათი შესრულების უზრუნველყოფის აუცილებელი ღონისძიებები კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობით.

12. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების გაჭიანურებამ, აგრეთვე, ვითარების გამწვავების ზრდამ რუსეთის ფედერაციის რიგ ჩრდილოკავკასიურ სუბიექტებში შეიძლება გამოიწვიოს მდგომარეობის შემდგომი გაუარესება რეგიონში, კომისიის წევრები მიიჩნევენ, რომ მიზანშეწონილი იქნება, უსწრაფესად გაიმართოს რეგიონის დაინტერესებული სახელმწიფოებისა და რუსეთის მეთაურთა შეხვედრა იმ მიზნით, რომ შემუშავებულ იქნეს შეიარაღებული შეტაკებების, ტერორისტული აქტების, მძევლების აყვანის აღკვეთის, სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტისა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგების აღმოფხვრის, რეგიონის ჰუმანიტარული და ეკონომიკური პრობლემების კომპლექსური გადაჭრისათვის შეთანხმებების მიღწევის ეფექტიანი ღონისძიებები.

(Сборник документовб касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г. г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 108-112/ საკუთარი თარგმანი)